# დიდება მამაც შევარდნებს!

## სამშობლო, ხალხი გულში იხუტებს კოსმოსის გმირებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 196 (12404) | კვირა, 19 აგვისტო, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.



და აი დადგა ეს მღელვარე საზეიმო წუთი. გმირმა კოსმონავტებმა ეს-ეს არის ფეხი დადგეს მშობლიურ მოსკოვურ მიწაზე და ახლა ისინი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა, მშობლებისა და ახლობლების წრეში არიან.

ფოტო ს. სმირნოვისა.

# ეს დღე ისტორიას ეკუთვნის

## შეხვედრა გმირ კოსმონავტებთან მოსკოვში

**გზა** ვნუკოვოდან წითელი მოედნისაკენ. 1961 წლის აპრილის დღიდან ეს ჩვეულებრივი მიწიერი მაგისტრალი გახდა ვარსკვლავეთის მარშრუტების საბოლოო ეტაპი, მარშრუტებისა, რომლებიც საბჭოთა ადამიანებმა გაიყვანეს. შესაძლოა, ამ მაგისტრალს ატყვია კოსმოსური მტვრის ნაკვალევი?..

ერთი კვირა გავიდა იმ დილიდან, რაც, მთელი დედამიწის ტელეტაიპებმა გაავრცელეს ელვა — ცნობა — საბჭოთა ადამიანი კვლავ კოსმოსშია. მაგრამ რა კვირა იყო ეს?

მოვლენები აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. მეორე დღეს მსოფლიო გაოცდა: კოსმოსში ორნი არიან! რადიოკავშირი კოსმოსი-კოსმოსი. სატელევიზიო გადმოცემები დედამიწაზე. კოსმონავტები ხედავენ ერთმანეთს.

მესამე დღე, მეოთხე... კოსმოსური კილომეტრების თვლა მილიონობით წარმოებს. და ყოველივე ეს კაცობრიობის ისტორიაში პირველად ხდება!

მსოფლიო განეწყო ანდრიან ნიკოლაევისა და პავლე პოპოვიჩის ტალღაზე. იაპონიის ელექტროტალღების ინსტიტუტის თანამშრომელთა განცხადებით, კოსმოსური ტყუპების ხმა კოსმოსში მათი ოთხი დღის ყოფნის დროს ნაცნობი, მშობლიურიც კი გახდა მეცნიერთათვის.

ამერიკასა და ევროპაში წერდნენ, რომ რუსები დამაჯერებლად ლიდერობენ მთვარისაკენ ბრძოლაში. კაიროს ერთ-ერთმა გაზეთმა ნახატზე გამოსახა მთვარე, რომელიც სასწრაფოდ სწავლობს რუსულ ენას.

ჟურნალისტებმა გამონახეს კარგი სიტყვები, რათა გამოეხატათ სიდიადე ყოველივე იმისა, რაც მოხდა. მაგრამ დღეს, როცა ხედავ მათ, ზღაპრულ ადამიანებს, დევგმირებს, რომლებმაც გააოცეს თავიანთი გმირობით კაცობრიობა, უნებურად წამოიძახებ: რა ღარიბია სიტყვის სამყარო! შესაფერისი სად უნდა ნახო?

საიდან ავიღოთ მაღალი და მოხდენილი სიტყვები, რომ აღვწეროთ ის, თუ როგორ ეგებებოდნენ თახამემამულენი კოსმონავტებს? როგორ აღვწეროთ საზეიმო მყუდროება დედაქალაქის შემოსასვლელში, რომელიც მარტოოდენ კოსმოდრომის მყუდროებას თუ შეეფერება, მყუდროებას იმის წინ, როცა მრავლის მნახველი დედამიწა უნდა შეარყიოს ვარსკვლავებისაკენ გასაფრენი რაკეტის დიადმა ძალამ?..

### ვნუკოვოს აეროდრომზე

**ვნუკოვოს** აეროდრომს მოსკოვის საჰაერო კარიბჭეს უწოდებენ. 18 აგვისტოს ეს კარიბჭე ისევე ფართოდ გაიღო კოსმონავტთა წინაშე, როგორც მოსკოველთა გული, რომლებიც მოუთმენლად მოელოდნენ გმირებს.

უკვე შუადღიდან ვნუკოვოში მოვიდნენ დამხვდურნი, ათასობით ადამიანი, მუშები, მოსამსახურენი, სტუდენტები, მეცნიერი მუშაკები, ხელოვნების ოსტატები, მოსკოვის ოლქის მინდვრების მშრომელნი. ყველას სადღესასწაულოდ აცვია, განწყობილებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

აეროპორტის შენობა ალმებით არის მორთული. ფასადზე ვ. ი. ლენინის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ა. გ. ნიკოლაევის, პ. რ. პოპოვიჩის პორტრეტებია. ელვარებენ ლოზუნგები, რომლებზეც წარწერილია სიტყვები მისალმებისა კოსმონავტებისადმი, იმათდამი, ვინც უკვდავყო თავისი სახელი, ჩაწერა შესანიშნავი ფურცლები საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში, განახორციელა დიადი დაუვიწყარი გმირობა.

მინდორზე შეიკრიბნენ სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

აქვე არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

აეროდრომზე მოვიდნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, შ. რ. რაშიდოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილენი ნ. ნ. ორგანოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ვ. ი. კოზლოვი, მ. ა. ისკენდეროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი — ნ. გ. იგნატოვი, ვ. ნ. ნოვიკოვი, კ. ნ. რუდნევი, დ. თ. უსტინოვი, კოსმონავტი მფრინავები ი. ა. გაგარინი, გ. ს. ტიტოვი.

დაეშვა თვითმფრინავი, რომლითაც ყირიმიდან ჩამოფრინდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი. კოსმონავტების შესახვედრად მოვიდნენ აგრეთვე რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გეორგე გეორგიუ-დეჟი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იონ გეორგე მაურერი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კივუ სტოიკა, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟაკ დიუკლო, კანადის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ტიმ ბაკი, ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე იოჰან კოპლენიგი.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი კოსმონავტების ნათესავებისაკენ გაემართნენ. ნიკიტა სერგის-ძე მოეხვია და აკოცა ნიკოლაევის დედას ანა ალექსის ასულს, მიულოცა მას და მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ აღზარდა ასეთი კარგი შვილი. ანა ალექსის ასულმა აღელვებულმა გადაუხადა მადლობა ნიკიტა სერგის-ძეს. ნ. ს. ხრუშჩოვმა რუსული ჩვეულებისამებრ სამჯერ აკოცა პოპოვიჩის დედას ფეოდოსია კასიანეს ასულსა და მამას რომან პროკოფის-ძეს. კოსმონავტების მშობლებს, მათს ძმებს, დებს, პოპოვიჩის ცოლს — მარიამ ლავრენტის ასულს ნიკიტა სერგის-ძემ მიულოცა შესანიშნავი გამარჯვება კოსმოსში. გმირების ნათესავებს მაგრად ართმევს ხელს ლ. ი. ბრეჟნევი.

ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი რამდენიმე წუთს ესაუბრნენ ექვსი წლის ნატაშას — პავლე პოპოვიჩის ქალიშვილს. გოგონამ მკვირცხლად უპასუხა შეკითხვებზე და თქვა, რომ უნდა რაც შეიძლება მალე ნახოს მამა. „ახლა მამა ჩამოფრინდება! ახლა მამა ჩამოფრინდება!“ იმეორებს გოგონა კულულების ქნევით.

ნიკიტა სერგის-ძემ მიმართა იური გაგარინს და უთხრა, რომ კოსმონავტების ოჯახი იზრდება. ახლა დაველოდებით, შენიშნა მან, სამყაროს ახალი დამპყრობლების — ნიკოლაევისა და პოპოვიჩის მოფრენას.

დამხვდურნი სულ უფრო ხშირად უყურებენ საათს. და აი, როცა ისარი ორს მიუახლოვდა, ცაში გამოჩნდა თვითმფრინავი. თვითმფრინავისაკენ არის მიმართული ათასობით ადამიანის თვალი. ვერცხლისფერ ლაინერში ხომ კოსმონავტები ანდრიან ნიკოლაევი და პავლე პოპოვიჩი არიან. თვითმფრინავს ახლავს ავიაგამანადგურებელთა საპატიო ესკორტი. ამ ტრადიციული რიტუალით მფრინავები სამხედრო პატივს სცემენ იმათ, ვინც თავისი სახელით, შეასრულა პარტიისა და მთავრობის დავალება, ჩაიდინა გმირობა, რომელიც საუკუნეებში დარჩება.

თვითმფრინავი ეშვება. აი უკვე მისი შასის თვლები ბეტონს ეხება. მანქანა დაეშვა და აეროპორტის შენობისაკენ გაემართა. პილოტებმა საჰაერო ხომალდი ალისფერ ხალიჩოვან ბილიკთან გააჩერეს.

და აი თვითმფრინავის კარში გამოჩნდნენ ანდრიან ნიკოლაევი და პავლე პოპოვიჩი. ტაშმა იგრიალა დამხვდურთა რიგებში.

კოსმონავტები გაემართნენ ყვავილებით მორთული საპატიო ტრიბუნისაკენ, სადაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები დგანან. აქვე არიან ნიკოლაევის დედა, პოპოვიჩის მშობლები და ცოლი.

იმ მომენტში, როცა „ციური ძმები“ ერთმანეთის გვერდით, მხარდამხარ მიაბიჯებდნენ ალისფერ ბილიკზე, ჰაერში გაიგუგუნეს რეაქტიულმა ავიაგამანადგურებლებმა, რომლებიც საჰაერო ლაინერს ახლდნენ. ესენი იყვნენ პოპოვიჩის მეგობრები, იმ საავიაციო გარნიზონის მფრინავები, სადაც მსახურობდა იგი კოსმონავტთა ჯგუფში გადასვლამდე.

ტრიბუნაზე ავიდა მაიორი ნიკოლაევი და უპატაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს სამშობლოს დავალების შესრულება.

რადიო შორს, აეროდრომის ფარგლებს გარეთ — მთელ მოსკოვში, ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში, მთელ მსოფლიოში გადასცემს პოდპოლკოვნიკ პოპოვიჩის პატაკს.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ხმები უერთდება საარტილერიო სალუტის გრიალს.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მამასავით ეხვევა და კოცნის ა. გ. ნიკოლაევს, პ. რ. პოპოვიჩს, ულოცავს მათ შესანიშნავ გმირობას. გულითადად მიესალმნენ კოსმონავტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხვა წევრებიც.

კოსმონავტებს ნათესავები ეხვევიან. სიხარულის ცრემლი უბრწყინავთ მოხუცებს თვალზე, თვითონ გმირებიც აღელვებული არიან. მათ უსაზღვროდ უხარიათ, რომ ასეთ ბედნიერ საზეიმო დღეს არიან იმათთან ერთად, ვინც ასე ძვირფასი და მახლობელია მათთვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი, ანდრიან ნიკოლაევი და პავლე პოპოვიჩი, კოსმონავტების მშობლები, მარიამ ლავრენტის ასული პოპოვიჩი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები მიდიან მშრომელთა წარმომადგენლებისაკენ. მოსკოველები მქუხარედ უკრავენ ტაშს, უშუალოდ გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს გმირებისადმი.

მოედანზე ავტომანქანები ჩამწკრივდნენ. პირველი ღია ავტომობილი „ზილ-111“ მორთულია ყვავილთა გირლანდებით. ტაშის გრიალში მანქანაში ადგილებს იკავებენ ანდრიან ნიკოლაევი, პავლე პოპოვიჩი, მათი მშობლები, პოპოვიჩის ცოლი. მოსკოველები ყვავილებს უძღვნიან მათ. ერთ წუთში მანქანა ყვავილნარად გადაიქცა.

მეორე ღია მანქანაში სხდებიან ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ჟაკ დიუკლო, გეორგე გეორგიუ-დეჟი, ჩიონგ ტიხი და სხვები.

მანქანები დაიძრნენ, და მოტოციკლისტ ოფიცერთა საპატიო ესკორტის თანხლებით გავიდნენ აეროდრომის მოედნიდან. კოსმონავტები გაემართნენ ქალაქისაკენ, სადაც უკვე დიდი ხანია ინტერესით მოელიან მათ. მთელი მოსკოვი გამოვიდა ქუჩებში, რომ უთხრას მათ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასებო! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქში!“.

33 კილომეტრ მანძილზე ვნუკოვოს აეროპორტიდან წითელ მოედნამდე არ დარჩენილა ყველაზე ვიწრო გასასვლელიც კი, სადაც შესაძლებელი ყოფილიყო დამხვდურთა პირველ რიგებში მოხვედრა.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

# დარბაზობა კრემლში

## კოსმოსის გმირების პატივსაცემად

მოსკოვი, 18 აგვისტო. (საქინფორმი). დღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კრემლის დიდ სასახლეში მოაწყეს დარბაზობა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო გმირობის აღსანიშნავად, გმირი კოსმონავტების ა. გ. ნიკოლაევისა და პ. რ. პოპოვიჩის პატივსაცემად, რომლებმაც განახორციელეს მსოფლიოში პირველი ჯგუფური ფრენა კოსმოსში.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, პარტიისა და სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საბჭოთა კავშირის მარშლები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, მოსკოვის საწარმოთა და მშენებლობათა ნოვატორები.

დარბაზობაზე იყვნენ აგრეთვე უცხოელი სტუმრები.

დარბაზობის დროს წაიკითხეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ა. გ. ნიკოლაევისა და პ. რ. პოპოვიჩისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდებისა და „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ.

ლ. ი. ბრეჟნევმა კოსმონავტებს გადასცა გმირის ოქროს მედლები და „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ ნიშნები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა სადღეგრძელო წარმოთქვა დაჯილდოებულთა პატივსაცემად.

# ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საბჭოთა კოსმონავტი მფრინავებისათვის მაიორ ა. გ. ნიკოლაევისა და პოდპოლკოვნიკ პ. რ. პოპოვიჩისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

თანამგზავრი ხომალდებით „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“ მსოფლიოში პირველი ჯგუფური ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“

კოსმონავტ მფრინავს მაიორ ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევს,

კოსმონავტ მფრინავს პოდპოლკოვნიკ პავლე რომანის-ძე პოპოვიჩს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 18 აგვისტო.

# ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**მფრინავებისათვის — მაიორ ა. გ. ნიკოლაევისა და პოდპოლკოვნიკ პ. რ. პოპოვიჩისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ**

თანამგზავრი ხომალდებით „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“ ჯგუფური ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოთ „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდება საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს:

მფრინავს მაიორ ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევს,

მფრინავს პოდპოლკოვნიკ პავლე რომანის-ძე პოპოვიჩს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 18 აგვისტო.

# სალამი ავიატორებს

ვულოცავთ მფრინავებსა და ყველა ავიატორს საჰაერო ფლოტის დღეს, ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის სამსახურში, ჯანმრთელობას, ბედნიერებას.

კოსმონავტი მფრინავები ანდრიან ნიკოლაევი და პავლე პოპოვიჩი.

თვითმფრინავი „ილ-18“. 18 აგვისტო.

# გმირ კოსმონავტთა პატაკები ნ. ს. ხრუშჩოვს

## ვნუკოვოს აეროდრომზე 1962 წლის 18 აგვისტოს

მოახსენებს ანდრიან ნიკოლაევი:

ამხანაგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველო მდივანო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ! ბედნიერი ვარ მოგახსენოთ, რომ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალება შესრულებულია. ოთხი დღე-ღამის ფრენა კოსმოსური ხომალდით „აღმოსავლეთი-3“ წარმატებით დამთავრდა.

ფრენის დროს დამყარებული იყო საიმედო კავშირი ხომალდ „აღმოსავლეთ-4“-თან. ხომალდის ყველა ხელსაწყო და სისტემა უნაკლოდ მუშაობდა.

თავს ჩინებულად ვგრძნობ.

მზად ვარ შევასრულო პარტიისა და მთავრობის ყოველი ახალი დავალება.

მაიორი ნიკოლაევი.

მოახსენებს პავლე პოპოვიჩი:

ამხანაგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველო მდივანო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ! მოხარული ვარ მოგახსენოთ, რომ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალება წარმატებით შესრულდა. ხომალდ „აღმოსავლეთ-4“-ის მრავალი დღე-ღამის ფრენა წარმატებით დამთავრდა. ხომალდმა „აღმოსავლეთი-4“ ცხადყო დიდი საიმედოობა მუშაობაში.

თავს მშვენივრად ვგრძნობ.

მზად ვარ შევასრულო პარტიისა და მთავრობის ყოველი დავალება.

პოდპოლკოვნიკი პოპოვიჩი.



მოსკოვი. 1962 წლის 18 აგვისტო. საბჭოთა ხალხის სახელოვანი შვილების გმირი-კოსმონავტების მაიორ ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევის და პოდპოლკოვნიკ პავლე რომანის-ძე პოპოვიჩის საზეიმო შეხვედრა ვნუკოვოს აეროდრომზე.

ფოტო ვ. ხავოსტიანოვისა (საქტესის ფოტოქრონიკა).

# კოსმოსში გამარჯვება ჩვენი პარტიის ჰიმნია

## მშრომელთა მიტინგი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე მოსკოვში

ბიბლიოთეკა

## ამხანაგ ა. გ. ნიკოლაევის სიტყვა

[illegible]

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ძვირფასო თანამემამულენო!

ჩვენი პლანეტის მოქალაქენო!

საბჭოთა ადამიანები მესამედ იკრიბებიან წითელ მოედანზე კოსმოსის გმირების საზეიმო შეხვედრისათვის. ყოველი ახალი კოსმოსური გაფრენით ჩვენ სულ უფრო ღრმად ვაღწევთ კოსმოსში, ვეუფლებით მის საიდუმლოებებს.

წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინათ შევხვდით ჩვენ აქ პირველ კოსმონავტს, საბჭოების ქვეყნის მოქალაქეს იური ალექსის-ძე გაგარინს. მან ისტორიაში პირველად შემოუარა დედამიწას საბჭოთა კოსმოსური პირმშო ხომალდით „აღმოსავლეთ-1"-ით.

გასული წლის აგვისტოში ჩვენ შევხვდით მეორე საბჭოთა კოსმონავტს, გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვს, რომელმაც 17-ზე მეტჯერ შემოუარა დედამიწას კოსმოსური ხომალდით „აღმოსავლეთ-2"-ით.

დღეს კი ჩვენ მივესალმებით აქ ერთად ორ ახალ ციურ ძმას, კოსმოსურ ტყუპებს, — ჩვენს ძვირფას გმირებს ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევსა და პავლე რომანის-ძე პოპოვიჩს. მათ ჩაიდინეს დიდი გმირობა, რომელიც ახალ ეტაპს მოასწავებს კოსმოსის ათვისებაში.

კოსმონავტი გმირების პატივსაცემად ზეიმის გამართვა მოსკოვის მშრომელთა შესანიშნავი ტრადიცია, ჩვენი ხალხის, მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანთა სასიხარულო დღესასწაული გახდა. საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმით, რომ კოსმოსის ათვისებაში პიონერია ჩვენი სოციალისტური ქვეყანა. და განა ღრმად სიმბოლური და კანონზომიერი არ არის ის, რომ ჩვენ კოსმოსის ათვისებაში გამარჯვებათა ამ დღესასწაულს აღვნიშნავთ სწორედ აქ, წითელ მოედანზე, სადაც საბჭოთა ადამიანები ყოველწლიურად დღესასწაულობენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაბადებას, რომლის დამაარსებელიც იყო დიდი ლენინი.

კოსმონავტი მფრინავების ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევისა და პავლე რომანის-ძე პოპოვიჩის ჯგუფური გაფრენა მეცნიერებისა და ტექნიკის, ეკონომიკისა და კულტურის განსაცვიფრებელი მიღწევაა, ადამიანის გონების ახალი გამარჯვებაა. ჯგუფური გაფრენა საპლანეტთაშორისო მიმოსვლის გზაზე გადადგმული ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. საბჭოთა ადამიანებს განსაკუთრებით ახარებს, რომ სწორედ ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენს ხალხს ხვდა წილად პატივი ჩაედინა ასეთი ისტორიული გმირობა. ჩვენმა ხალხმა შეძლო მოემზადებინა ქვეყანა მრეწველობის, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული მხრივ და, რაც მთავარია, მოემზადებინა მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, მუშები, ვინც შეძლო შეექმნა ისეთი სრულყოფილი კოსმოსური ხომალდები, რომლებითაც შესაძლებელი გახდა უმაგალითო გაფრენების განხორციელება. ჩვენმა ქვეყანამ აღზარდა ახალი ადამიანი. იგი ოსტატურად დაუფლებულია მეცნიერების უახლეს მიღწევებს, უნარიანად მართავს კოსმოსურ ხომალდებს და სჩადის მრავალ გმირობას, რომლებსაც აღტაცებაში მოჰყავს მთელი კაცობრიობა.

რაც უნდა ეცადონ ძველი სამყაროს წარმომადგენლები დაამცირონ ჩვენი ხალხის მიღწევები, ასეთი ადამიანები კი ჯერაც არიან, — ვერ შეძლებენ ამას! ეს შეუძლებელია. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ტრუმენი შეეცადა უარეყო ჩვენი კოსმონავტების ახალი გაფრენა და მოითხოვა, დამიმტკიცეთ, რომ საბჭოთა ადამიანები მართლაც აწყობენ ჯგუფურ გაფრენას კოსმოსშიო. მაგრამ მან მხოლოდ ერთ რამეს მიაღწია, იმას, რომ თავისი თანამოაზრენიც კი გააცინა.

ჩვენი წარმატებების წყაროა სოციალისტური სისტემა, მეურნეობის სოციალისტური წყობა, ჩვენი სახელმწიფოს სოციალისტური წყობილება. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ ყველა წარმატება მშობლიური ქვეყნის, მისი ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში განუყრელად დაკავშირებულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელთან, მის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან. ლენინმა მოახდინა ყველაზე გაბედული გაფრენა მომავალში, როგორიც კი ძალუძს ადამიანს. მან წამოაყენა სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგი, კაპიტალიზმის დამხობისა და მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის ხელისუფლების დამყარების ლოზუნგი, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის ლოზუნგი.

დიახ, ეს იყო გენიალური აზრის მიუწვდომელი აღმაფრენა, ფართო გაქანება რევოლუციური მოქმედებისა, რომელსაც საფუძვლად უდევს ღრმა რწმენა ხალხისადმი, მისი შემოქმედებითი ნიჭისადმი, მისი დაუშრეტელი ძალებისადმი.

ოქტომბრის რევოლუციამ გაათავისუფლა ძველი წყობილებით შებოჭილი ხალხები. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ხალხი თავისი ბედის ბატონ-პატრონი გახდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მან გარდაქმნა წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა, ახალ, სოციალისტურ საწყისებზე გადააკეთა საზოგადოების მთელი ცხოვრება, უზრუნველყო ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მძლავრი აღმავლობა. ჩვენ ისე შორს წავედით წინ, ისეთ სიმაღლეზე ავედით, რომ კომუნიზმის მოწინააღმდეგენიც კი იძულებული არიან ილაპარაკონ საბჭოთა ქვეყნის წარმატებებზე, მის სიდიადეზე. საბჭოთა კავშირმა ამ წარმატებებს მიაღწია მოკლე ისტორიულ ვადაში — სულ 45 წელიწადში, ამასთან ამ პერიოდის მრავალი წელი ომის წლები იყო, რომლებიც არათუ ხელს არ უწყობდა ჩვენი ქვეყნის განვითარებას, არამედ, პირიქით, აჩანაგებდა მის მეურნეობას, აფერხებდა ჩვენს წინსვლას.

ამ დღეებში კოსმონავტების ახალ გაფრენასთან დაკავშირებით კაპიტალისტური სამყაროს ბევრი წარმომადგენელი კვლავ აყენებს კითხვას: რატომ პირველმა გააკეთეს ეს საბჭოთა ადამიანებმა, საბჭოთა ქვეყანამ? ზოგიერთს გამოცანადაც კი მიაჩნია ეს. ნუ ეძებთ, ბატონებო, გამოცანებს, აქ გამოცანები არ არის. საბჭოთა ქვეყანამ ეს პირველმა გააკეთა იმიტომ, რომ პირველი დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას. მან პირველმა დაამხო კაპიტალისტური წყობილება, თვითეულ საბჭოთა ადამიანს შეუქმნა ფართო შესაძლებლობანი გამოეჩინოს თავისი ნიჭი, თავისი უნარი. საბჭოთა ხალხმა ლაღად ამოისუნთქა, გაშალა თავისი მძლავრი მხრები და დაგვანახვა გოლიათის ძალა. ჩვენი ქვეყანა არა მარტო დაეწია, არამედ კიდევაც გაუსწრო ბევრ ქვეყანას, რომლებსაც წინათ ყველაზე მოწინავედ მიაჩნდათ თავი. მათ იმის ფიქრიც შეუძლებლად მიაჩნდათ, რომ ყოფილი მეფის რუსეთის ხალხები რევოლუციის შემდეგ შეძლებდნენ ასეთი ბრწყინვალე მწვერვალების მიღწევას თავიანთ განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის დიადი მიღწევები სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში ჩვენი იდეების ძალის, მარქსიზმ-ლენინიზმის ძალის მაჩვენებელია. ამ კეთილშობილური იდეებით იზრდებოდა და იზრდება ჩვენი ხალხი. კოსმონავტი გმირები გაგარინი, ტიტოვი, ნიკოლაევი და პოპოვიჩი კომუნიზმის მშენებელი ჩვენი ხალხის, ჩვენი დიადი ლენინური პარტიის ღირსეული შვილები არიან. და დღეს, როცა ჩვენ ახალი გამარჯვების გამო ზეიმით ვცემთ პატივს ჩვენს კოსმონავტებს, ჩვენს მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, ინჟინრებსა და მუშებს, კარგად გვაქვს შეგნებული, რომ მათი გამარჯვებები, მათი დიდება, მიღწეულია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, ჩვენი დიდი ლენინის იდეებისა და გენიის მეოხებით.

აღვნიშნავთ რა ახალ გამარჯვებებს, არ უნდა ვყოყოჩობდეთ, არ უნდა ვჯერდებოდეთ მიღწეულს. ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე მოგველის, ბევრი და ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა კიდევ უფრო ავამაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე. საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით ეს, მათ შეგნებული აქვთ, რომ ახლა ჩვენს ქვეყანას ყველა საშუალება აქვს იმისათვის, რომ გადაჭრას ეს ამოცანა. საჭიროა მხოლოდ კიდევ უკეთ გამოვიყენოთ ჩვენი ღონისძიებანი და ვიშრომოთ, ვიშრომოთ და ვიშრომოთ ჩვენი დიადი პროგრამის შესასრულებლად, რომელიც მიიღო პარტიის XXII ყრილობამ. მაღალი ორგანიზებულობა, ნათელი გაგება, სიმტკიცე, შეუპოვრობა შრომაში საშუალებას მოგვცემს მოკლე ვადებში განვახორციელოთ დასახული გეგმები.

დაე იჩხავლონ სხვადასხვა კაპიტალისტურმა მკითხავებმა, რომლებიც აურზაურს ატეხენ ხოლმე, როცა რაიმე ნაკლს შეგვამჩნევენ პრაქტიკულ მუშაობაში. რამდენი ასეთი მკითხავი ყოფილა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გასულ წლებში! სად არიან ახლა? ისინი სანაგვე ყუთში გადაყარა ისტორიამ. ჩვენი ქვეყანა კი მტკიცედ მიდის წინ ლენინური გზით — ვითარდება, მტკიცდება და ახალ ძალებს იკრებს, ამრავლებს სიმდიდრეს, აკვირვებს და განაცვიფრებს მსოფლიოს თავისი აღმოჩენებითა და გამარჯვებებით. ჯერ კიდევ ბევრ რამეს გვიჩვენებს ჩვენი ხალხი, ჩვენი ქვეყანა! ყველა ხალხს აქვს დიდი ნიჭი. საქმე მხოლოდ ის არის, რომ შეიქმნას პირობები ამ ნიჭის გამოვლინებისათვის, იმისათვის, რომ თვითეულისა და ყველას შემოქმედებითი ძალები გამოყენებული იყოს ხალხების ინტერესებისათვის, პროგრესისა და მშვიდობის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთ-3"-ისა და „აღმოსავლეთ-4"-ის მრავალდღიანი გაფრენით ჩვენმა ქვეყანამ დასაბამი მისცა ადამიანის ჯგუფურ შეთანხმებულ მოქმედებას კოსმოსურ სივრცეში, ახალ ეტაპს სამყაროს დაპყრობის გზაზე. ორი კოსმოსური ხომალდის გაშვებამ, მათმა ერთსა და იმავე დროს ფრენამ და ერთსა და იმავე დროს დაშვებამ ცხადყო გამართულობა და საიმედოობა ტექნიკური აპარატურისა, რომლის საშუალებითაც ისინი გაყვანილ იქნენ ზუსტად გათვალისწინებულ ვადაში წინასწარ გაანგარიშებულ ორბიტებზე. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა.

მეორე, არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი მხარეა კოსმონავტი მფრინავების შეთანხმებული მოქმედება ფრენის დროს. მათ შორის ხორციელდებოდა უშუალო, ორმხრივი, მყარი რადიოსატელევიზიო კავშირი. ხომალდების მართვის დროს კოსმონავტებს შეეძლოთ შეეთანხმებინათ ურთიერთშორის თავიანთი მოქმედება, გაეცვალათ ინფორმაცია, შეედარებინათ თავიანთ დაკვირვებათა შედეგები.

ამიტომ ამხანაგები ნიკოლაევი და პოპოვიჩი უფრო მხიარულად იყვნენ კოსმოსში, ვიდრე მათი წინამორბედნი გაგარინი და ტიტოვი: მათ შეეძლოთ არა მარტო კავშირი ჰქონოდათ დედამიწასთან, არამედ კიდევაც ელაპარაკათ ერთმანეთთან და დაენახათ ერთმანეთი მუშაობის დროს. მათ, როგორც თქვენ იცით, რაღაც თვითმოქმედი კონცერტის მსგავსიც კი გამართეს სამყაროსათვის, დუეტად შეასრულეს სიმღერა და მისამღერი, რომელიც ძალიან შეეფერება ამ შემთხვევას და, ჩემი აზრით, სავსებით შეესაბამება ჩვენს შემდგომ გეგმებს კოსმოსში.

> მწამს — რაკეტების ქარავანი
> გაგვაჯირითებს,
> ჩვენც, მეგობრებო, ვარსკვლავებზე
> ავგრიალდებით
> და შორეული პლანეტების მტვრიან
> ბილიკებს
> დავფარავთ ჩვენი ფეხის მტკიცე
> ნატერფალებით.

კოსმოსური ფრენის დროს მოქმედების შეთანხმებულობა, კოლექტიურობა მეტად დიდმნიშვნელოვანი გარემოებაა სამყაროს ათვისების საქმეში. რაც უფრო შორს წავლენ კოსმოსური ხომალდები სამყაროს სივრცის სიღრმეებში, ალბათ მით უფრო მეტად უნდა ჰქონდეთ ურთიერთმოქმედება სხვა კოსმოსურ ხომალდებთან და შუალედურ საპლანეტთაშორისო სადგურებთან და მათი საშუალებით უნდა ჰქონდეთ კავშირი დედამიწასთან. სწორედ ასე ჰქონდა წარმოდგენილი კოსმოსში შეღწევის გზა კოსმონავტიკის მამას დიდ რუს მეცნიერს კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკის. მიღწევები კოსმოსის ათვისებაში, ისევე როგორც თვითონ კოსმოსი, მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა. ამიტომ კოსმოსის შეცნობის შედეგები უნდა იყოს საყოველთაო სიკეთე, კუთვნილება ყველა ადამიანისა, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს შესანიშნავ პლანეტაზე — დედამიწაზე.

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს იმით, რომ მსოფლიოში პირველი ჯგუფური გაფრენა კოსმოსში მოახდინეს მისმა გმირმა შვილებმა — მაიორმა ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევმა და პოდპოლკოვნიკმა პავლე რომანის-ძე პოპოვიჩმა. ამ ფრენის დროს ორივემ გამოიჩინა თავი როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსეულმა მოქალაქემ, ნამდვილმა კომუნისტმა და ცხადყვეს დიდი მამაცობა და გმირობა პარტიისა და მთავრობის დავალების შესრულებაში.

კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი-3", რომელსაც ანდრიან ნიკოლაევი მართავდა, იფრინა 95 საათს, ესე იგი თითქმის ოთხ დღე-ღამეს. ამ ხნის განმავლობაში მან 64-ზე მეტჯერ შემოუფრინა დედამიწას და გა-

(დასასრული მე-3 გვ.).

## ამხანაგ პ. რ. პოპოვიჩის სიტყვა

[illegible]

... ფით, დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით. დიდი დრო დამჭირდებოდა, რომ დაწვრილებით მეამბნა მათ შესახებ. მაგრამ გამოვთქვამ ყველაზე მთავარს, რითაც ალსავსეა ჩემი გული: ეს არის სიამაყის გრძნობა ჩვენი დიადი სოციალისტური ...

... სებს. მსოფლიოს ხალხებს შეუძლიათ ჯეროვნად შეაფასონ ეს ფაქტი, მათ ხომ აქვთ შედარების საგანი: ოკეანესგაღმა მშვიდობის მტრები აღვივებენ საომარ ისტერიას, ცდილობენ ატომურ პოლიგონად გადააქციონ კოსმოსური სივრცე.



მოსკოვი. 1962 წლის 18 აგვისტო. საბჭოთა ხალხის სახელოვანი შვილების გმირი-კოსმონავტების მაიორ ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევის და პოდპოლკოვნიკ პავლე რომანის-ძე პოპოვიჩის საზეიმო შეხვედრა ვნუკოვოს აეროდრომზე.

სურათზე: ა. გ. ნიკოლაევი და პ. რ. პოპოვიჩი უპასუხებენ მოსკოველთა მისალმებაზე.

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

# კომუნიზმი — სამყაროზე იერიშის საიმედო კოსმოდრომი

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

არა 2 მილიონ 600 ათასზე მეტი კილომეტრი მანძილი.

კოსმოსურმა თანამგზავრმა ხომალდმა „აღმოსავლეთი-4“, რომელსაც პავლე პოპოვიჩი მართავდა, 71 საათში 48-ზე მეტჯერ შემოუფრინა ჩვენს პლანეტას და გაიარა დაახლოებით 2 მილიონი კილომეტრი მანძილი.

უდიდეს სიხარულს მანიჭებს მივესალმო დღეს ჩვენს გმირებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის, მთელი ჩვენი გმირი ხალხის სახელით მხურვალედ გილოცავთ თქვენ, ძვირფასო ანდრიან გრიგოლის-ძევ, და თქვენ, ძვირფასო პავლე რომანის-ძევ, თვალსაჩინო გამარჯვებას კოსმოსში და უღრესად გულითად მადლობას გიძღვნით გმირობისათვის, რომელმაც სამარადისოდ გაუთქვა სახელი ჩვენს საყვარელ სამშობლოს და პირადად თქვენ.

მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ კოსმოსში თანამგზავრი ხომალდებით „აღმოსავლეთ-3“-ით და „აღმოსავლეთ-4“-ით მსოფლიოში პირველი მრავალი დღის ჯგუფური ფრენის განხორციელებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევსა და პავლე რომანის-ძე პოპოვიჩს მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. სულით და გულით გილოცავთ მაღალ ჯილდოს.

თქვენ, ანდრიან გრიგოლის-ძევ და პავლე რომანის-ძევ, როგორც ადრე თქვენს კოსმონავტ ძმებს იური გაგარინსა და გერმანე ტიტოვს, მოგენიჭათ სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავების საპატიო წოდება.

უდიდესი პატივისცემის გრძნობით ვულოცავ კოსმოსის გმირების მშობლებს — ანა ალექსის ასულ ნიკოლაევას, ფეოდოსია კასიანეს ასულს და რომან პორფირეს-ძე პოპოვიჩებს. თავმდაბალმა საბჭოთა მშრომელებმა აღზარდეს ჩვენი დროის ნამდვილი გმირები.

ნება მიბოძეთ მივულოცო პავლე რომანის-ძის მეუღლეს — მარიამ ლავრენტის ასულს, რომელმაც აგრეთვე ხელი შეუწყო გმირის წარმატებას. უნდა ითქვას, რომ მარიამ ლავრენტის ასული პროფესიით მფრინავი იყო წარსულში. ასე რომ მას მამაცობა თვითონაც არ აკლია. მათ ეზრდებათ ქალიშვილი ნატაშა, — შესანიშნავი ოჯახია!

ყველა ჩვენგანს დიდ სიხარულს გვანიჭებს კიდევ ის, რომ ჩვენი დღევანდელი ზეიმი დაემთხვა სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს. ეს დამთხვევა ღირსშესანიშნავია იმით, რომ კოსმონავტთა გაფრენები თითქოს შემდგომი წინგადადგმული ნაბიჯია საჰაერო ფლოტის განვითარებაში. ყველა საბჭოთა კოსმონავტი გამოსულია სახელოვანი საბჭოთა ავიაციის რიგებიდან. ნება მიბოძეთ ვისარგებლო შემთხვევით და გულითადად მივულოცო ეს ორმაგი დღესასწაული ჩვენს შესანიშნავ მფრინავებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, მოსამსახურეებს, რომლებიც ავიაციის, თვითმფრინავმშენებლობისა და რაკეტმშენებლობის დარგში მუშაობენ, და ვუსურვო მათ ახალი წარმატებანი საბჭოთა საჰაერო ნაოსნობის განვითარებასა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში!

კოსმოსის საბჭოთა გმირები ხალხის წიაღიდან გამოსული, კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი, კომუნიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები არიან. ფრიად საგულისხმოა, რომ ციურ ძმებს შორის დღეს ვხედავთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს — რუსებს, უკრაინელსა და ჩუვაშს. დარწმუნებული ვართ, რომ კოსმონავტთა ოჯახს მომავალში შეემატებიან ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხთა ახალი ვაჟიშვილები და ქალიშვილები.

კოსმონავტი გმირები არიან ადამიანები, რომლებიც უკვე დღეს განასახიერებენ კომუნისტური საზოგადოების ადამიანის მშვენიერ ნიშნებს — მაღალ ინტელექტუალურ კულტურას, ზნეობრივ სიწმინდესა და ფიზიკურ სრულყოფას. მათ მოქმედებას ამოძრავებს სამშობლოს სიყვარული, საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობა, კომუნიზმის კეთილშობილური იდეალები.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ჩვენს დღევანდელ ზეიმზე ყველაზე საპატიო ადგილი სამართლიანად ეკუთვნის საბჭოთა მეცნიერებას. საბჭოთა მეცნიერება თანდათანობით ახორციელებს სამყაროს გეგმაზომიერ კვლევას. იგი წარმატებით ძლევს დაბრკოლებებს და ზედიზედ შეიცნობს ბუნების საიდუმლოებას. საბჭოთა კოსმოსური ხომალდების ჯგუფური ფრენა, რომელმაც დაამტკიცა არა მარტო კოსმოსში შემდგომი შეღწევის შესაძლებლობა, არამედ იქ დიდხანს ცხოვრებისა და მუშაობის შესაძლებლობაც, ჩვენი სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი უდიდესი ტრიუმფია.

კოსმოსური ფრენა მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მუშათა დიდი კოლექტივების უდიდესი ღონისძიებების შედეგია. მათი შემოქმედებითი გენიითა და შთაგონებული შრომით შექმნილია ზემძლავრი რაკეტებიც, დამჯერე კოსმოსური სასწაული ხომალდებიც, საოცრად ჭკვიანი მანქანებიც, რომლებიც ეხმარებიან ადამიანს სწრაფად აწარმოოს უნაკლო ზუსტი გაანგარიშებანი. საბჭოთა მეცნიერების ეს გამარჯვებები რომ არა, ჩვენი მაღალგანვითარებული მრეწველობა რომ არა, კოსმოსური ფრენა შეუძლებელი იქნებოდა.

ჩვენ ვცხოვრობთ მეცნიერული აზროვნების უმაგალითო აყვავების საუკუნეში, როცა მეცნიერები სულ უფრო გაბედულად და ღრმად სწვდებიან ბუნების ყველაზე, თითქოსდა მიუწვდომელ, ყველაზე სანუკვარ საიდუმლოებებს. მეცნიერების მძლავრი ძალა ჩვენს დროში სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე და თანამედროვე საზოგადოების მთელ ცხოვრებაზე. ეს ძალა ნგრევას რომ მოხმარდეს, მას შეუძლია აურაცხელი უბედურება მოუტანოს კაცობრიობას. მშვიდობიანი შემოქმედებითი მიზნით თუ გამოვიყენებთ, მას შეუძლია უდიდესი ძალით დააჩქაროს და კიდევაც უნდა დააჩქაროს საზოგადოებრივი პროგრესი. ძლევამოსილი კომუნიზმის ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება აყვანილია უდიდეს სიმაღლეზე. საბჭოთა ხალხი ძალასა და საშუალებებს არ იშურებს მეცნიერების განვითარებისა და აყვავებისათვის.

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მივულოცო ჩვენს მეცნიერებს, ინჟინრებსა და მუშებს — ურთულესი კოსმოსური ტექნიკის შემქმნელებს მათი დაძაბული, ნამდვილად შემოქმედებითი შრომისათვის ჩვენი სამშობლოს სასახელოდ, და სულით და გულით ვუსურვო ახალი წარმატებანი მათს დიდ და კეთილშობილურ საქმეში.

შრომით და მხოლოდ შრომით ქმნის ადამიანი ყოველივე მშვენიერს დედამიწაზე და კოსმოსში. საბჭოთა ადამიანის შრომით ჩვენს ქვეყანაში აშენდა სოციალიზმი. მილიონობით საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი შრომით შენდება კომუნიზმის დიდებული შენობა. სოციალიზმი და კომუნიზმი — აი ის საიმედო კოსმოდრომი, საიდანაც კაცობრიობას იერიში მიაქვს და კვლავაც მიიტანს იერიშს სამყაროს სივრცეებზე.

ჩვენს ახალ წარმატებებს კოსმოსის ათვისებაში ღრმა მშვიდობისმოყვარე, ნამდვილად ჰუმანური ხასიათი აქვს. და რანაირადაც უნდა ცდილობდნენ ბურჟუაზიული მჯღაბნელები, საწინააღმდეგოს ვერ დაამტკიცებენ.

მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე განვითარების დროს ყველა ხალხს შეუძლია იყოს ბედნიერი, შეუძლია იცხოვროს მშვიდობით და იყოს უზრუნველყოფილი. ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გადასვლა უდიდესი ბედნიერება იქნებოდა ჩვენი პლანეტის ყველა ხალხისათვის. მაგრამ საზოგადოებრივი წყობილების საკითხებს ყველა ხალხი დამოუკიდებლად წყვეტს.

მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება ესაჭიროებათ ყველა სახელმწიფოს ხალხებს, მიუხედავად მათი სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისა. მშვიდობიანი თანაარსებობა, მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება დიდ სიკეთეს მოუტანს ხალხებს. ხალხთა ღონისძიებანი მოხმარდება არა ნგრევის საშუალებათა შექმნას, არამედ ეკონომიკის განვითარებას, წარმოების საშუალებათა შექმნას. არ შეიძლება დავუშვათ, რომ მომავალშიც ადამიანთა უდიდესი ღონისძიებანი და კოლოსალური ხარჯები ხმარდებოდეს განადგურების საშუალებების, ნგრევის საშუალებების შექმნას, ყველა მატერიალური და სულიერი ფასეულობის შემქმნელ ადამიანთა მოსპობას.

ჩვენ მტკიცედ ვიცავთ და დავიცავთ მშვიდობას, ჩვენს საშუალებებსა და ძალებს მოვახმართ მშვიდობიან შემოქმედებას, ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფას, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მშვიდობა? ამისათვის მარტო ის როდია საჭირო, რომ მშვიდობის განმტკიცების გზები სწორად ესმოდეთ, ჩვენს ხალხს, ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს მთავრობას და სოციალისტური ქვეყნების მთავრობებს. საჭიროა, რომ ეს გაიგონ სოციალიზმის მოწინააღმდეგეებმაც, კაპიტალიზმის ქვეყნების მთავრობებმაც.

სოციალიზმის მოწინააღმდეგეებმა უნდა შეიგნონ, რომ ახლა ვერავითარი ძალა, რეაქციის ვერავითარი ღონისძიებანი ვერ დააბრუნებენ კაპიტალის განუყოფელი ბატონობის წარსულ დღეებს. ვერავინ ვერ შეძლებს მოსპოს სოციალისტური წყობილება სახელმწიფოებში, სადაც მან გაიმარჯვა და წარმატებით ვითარდება. დროა, ბოლოს და ბოლოს, ძველი სამყაროს წარმომადგენლებმა გაიგონ ისტორიის გაკვეთილი. თუ რუსეთის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პირველ წლებში იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს ჩაეხშოთ პირველი სოციალისტური სახელმწიფო, ახლა რეაქციის შავბნელი ზრახვები მით უფრო განწირულია ჩასაფუშავად. საბჭოთა კავშირს სოციალიზმის ქვეყნებს ახლა აქვთ ყველაზე სრულყოფილი ტექნიკა, მაღალგანვითარებული ეკონომიკა, მრეწველობა, მეცნიერება, აქვთ თავიანთი სახელმწიფოს მთელი სოციალისტური ბანაკის დაცვის ყველაზე თანამედროვე საშუალებანი.



სურათზე: მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

ფოტო ვ. კოშევოისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბრმები და უგუნურები უნდა იყონ, რომ სცადონ თავს მოგვახვიონ თავიანთი კაპიტალისტური წესწყობილება, რომ მუქარის ან ომის ატეხის დახმარებით აიძულონ ხალხები გადაუხვიონ სოციალისტურ გზას. თუ იმპერიალისტური ბანაკის ეს უგუნურები მოინდომებენ განახორციელონ თავიანთი აგრესიული ზრახვები, ეს იქნება აქტი, რომელიც უდრის კაპიტალიზმის თვითმკვლელობას. სოციალიზმის ქვეყნებს აქვთ არა მარტო საშუალებანი, რომლებითაც იმუქრება კაპიტალისტური სამყარო, არამედ იქნებ სჯობნიან კიდევაც მათ შეიარაღებაში. იდეურად კი ჩვენ ძლიერი ვართ ისე, როგორც არავინ, იმიტომ, რომ ჩვენს იდეებს მარტო სოციალისტური ქვეყნების ხალხები როდი უჭერენ მხარს. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები ღრმად შეიჭრა მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანთა შეგნებაში.

იმისათვის, რომ ადამიანებმა თავისუფლად იცხოვრონ და არ აწუხებდეთ ხვალინდელ დღეზე ფიქრი, თანდათანობით უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მშვიდობა და მივაღწიოთ მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ საყოველთაო განიარაღებას. განიარაღების გზა უნდა გაიწმინდოს ყველა კენჭისაგან, რომელიც ჯერ არ აუგვიათ, ყველა დაბრკოლებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული.

და უწინარეს ყოვლისა ბოლო უნდა მოეღოს მეორე მსოფლიო ომის ნაშთებს, ხელმოწერილ უნდა იქნას გერმანიის საზავო ხელშეკრულება. ეს იქნებოდა კარგი საფუძველი იმ სადავო საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც არსებობენ და შეიცავენ მესამე მსოფლიო ომის ატეხის საფრთხეს. მომწიფებულ, მაგრამ გადაუჭრელ საერთაშორისო პრობლემებს შორის არის ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიც არის ორი გერმანული სახელმწიფოს ცნობა და მათი მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; გერმანიის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის საფუძველზე ლიკვიდაცია საოკუპაციო რეჟიმისა დასავლეთ ბერლინში; ნატოს სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია დასავლეთ ბერლინში, დასავლეთის სახელმწიფო ჯარების გაყვანა დასავლეთ ბერლინიდან.

განადგურებული ჰიტლერული გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ გასულ 17 წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა, და დასავლეთის ქვეყნების ჯარების დასავლეთ ბერლინში ყოფნის უფლებას უკვე დიდი ხანია სხვა ხასიათი მიეცა. ახლა დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარები აგრესიული ნატოს ბლოკის ჯარები არიან, ხოლო ამ ჯარების დამკვრელი მუშტი ხდებიან დასავლეთ გერმანიის რევანშისტული ძალები. აი ამიტომ იმპერიალისტები ასე მაგრად ებღაუჭებიან თავიანთი ჯარების ყოფნას დასავლეთ ბერლინში. მათ მშვიდობა, განიარაღება კი არა სურთ, არამედ იკრებენ ძალებს ახალი ომისათვის.

დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები ყოველნაირად გვარწმუნებენ, მშვიდობის, განიარაღების მომხრენი ვართო. მაგრამ როგორ შეიძლება შევათავსოთ ეს დარწმუნება იმასთან, რომ ისინი საოკუპაციო რეჟიმს ტოვებენ დასავლეთ ბერლინში, სოციალისტური სახელმწიფოების გარშემო ქმნიან ნატოს სამხედრო ბაზებს. ყოველივე ეს მათ მშვიდობისათვის კი არ ესაჭიროებათ, არამედ ახალი ომის მომზადებისათვის. იმპერიალისტები გაჰყვირიან, რომ საოკუპაციო ჯარები თითქოს საჭიროა იმისათვის, რომ დასავლეთ ბერლინის მცხოვრებლებს შეეძლოთ შეინარჩუნონ სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, რომელიც მათ აქვთ. ეს აშკარა სიცრუეა, იმიტომ რომ არავინ არ ხელყოფს იმ წყობილებას, რომელიც დასავლეთ ბერლინში არსებობს, არავინ არ ემუქრება მას.

ჩვენ არაერთხელ გაგვიცხადებია და ვაცხადებთ, რომ ვცნობთ ყველა ხალხის უფლებას — აირჩიონ სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, რომ ჩვენ არ ჩავრეულვართ და არ ვერევით სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. საბჭოთა მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთათვის უზრუნველყოფილი იქნება ამოირჩიონ ისეთი სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, რომელიც სურს ჰქონდეს თვითონ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას. დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას, რასაკვირველია, ნორმალური კავშირი უნდა ჰქონდეს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან.

იმპერიალისტები ამტკიცებენ, რომ საზოგადოებრივი წყობილების არჩევის თავისუფლებისათვის დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას ესაჭიროება გარანტიები საოკუპაციო ჯარების იქ ყოფნის სახით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს აბსურდული დასაბუთებაა. ჩვენ თანახმა ვართ გარანტიებზე, მაგრამ ეს გარანტიები საზავო ხელშეკრულების ხელისმოწერით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. თუ ეს საკმარისი არ არის, ჩვენ თანახმა ვართ, რომ დასავლეთ ბერლინში დროებით იყონ ჯარები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით. მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმას, რომ ეს ჯარები, შემოყვანილნი, ასე ვთქვათ, გარანტიისათვის, იყონ იმ ქვეყნების ჯარები, რომლებიც ნატოს აგრესიული სამხედრო ბლოკის წევრები არიან, ბლოკისა, რომელიც შექმნილია სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ომისათვის.

ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით და არ შევწყვეტთ მეცადინეობას იმისათვის ბრძოლაში, რომ დაიდოს გერმანიის საზავო ხელშეკრულება და ამ საფუძველზე ნორმალიზებულ იქნას მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში. ეს არის გონივრული, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელიც აღმოფხვრის მეორე მსოფლიო ომის შედეგებს.

თუ ჩვენ ვერ ვპოვებთ გაგებას დასავლეთის სახელმწიფოების მხრივ, სხვა გამოსავალი არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და ამით აღმოვფხვრათ ომის მდგომარეობა. ამ საფუძველზე თავის ძალას დაკარგავს საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინშიც, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრში იმყოფება. იმპერიალისტების ვერავითარი მუქარა ვერ დაგვიშლის ამის გაკეთებას. ომის დამთავრების შემდეგ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერა არის არა მარტო უფლება, არამედ აგრეთვე მოვალეობა ყველა იმ სახელმწიფოსი, რომლებიც ომში მონაწილეობდნენ. მხოლოდ უგუნურებს შეუძლიათ წავიდნენ ჩვენი მშვიდობიანი წინადადებების წინააღმდეგ.

იმპერიალისტები გვემუქრებიან, მაგრამ მათი მუქარა ვერ აშინებს მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს. მუქარა იმ ქვეყნებისადმი, რომლებსაც ნაკლები ძალები და ნაკლები შესაძლებლობა არ მოეპოვებათ, ვიდრე იმპერიალისტურ ქვეყნებს, თავისმკვლელთა მუქარაა. ჩვენ ვერ შეგვაჩერებს ეს მუქარა და ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა აღმოვფხვრათ მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, გავწმინდოთ გზა, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება საყოველთაო განიარაღებისა და იმის შესახებ, რომ შეიქმნას ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის საუკეთესო შესაძლებლობანი, განურჩევლად მათი სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისა.

უკანასკნელი დროის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ არის სურვილი გადაწყდეს რთული საერთაშორისო პრობლემები თანამშრომლობის საფუძველზე ყველა მხარის ინტერესების ურთიერთგათვალისწინებით, ასეთი თანამშრომლობა იძლევა ნაყოფს. მე მინდა ამასთან დაკავშირებით ორი მაგალითი დავიმოწმო.

დიდხანს იყო იმის საფრთხე, რომ ლაოსის ამბები დიდ ომად გადაზრდილიყო. ამას წინათ, როგორც ცნობილია, მიღწეულ იქნა დადებითი შედეგები ლაოსის პრობლემის მოწესრიგებაში.

არანაკლებ მწვავე იყო დასავლეთ ირიანის საკითხი, რომელიც შეიცავდა ომის საფრთხეს. უკანასკნელ დღეებში მიღწეულ იქნა შეთანხმება ინდონეზიასა და ჰოლანდიის შორის, რომლის შესაბამისად დასავლეთი ირიანი 1963 წლის მაისიდან გადავა ინდონეზიის მმართველობაში და ამრიგად ბოლო მოეღება ჰოლანდიის კოლონიურ ბატონობას ინდონეზიაში.

ამ შემთხვევის გამო ჩვენ ვულოცავთ ინდონეზიის პრეზიდენტს დოქტორ სუკარნოს, მთელ მეგობარ ინდონეზიელ ხალხს დასავლეთ ირიანის განთავისუფლებას და თავისი სამშობლოს წიაღში მის დაბრუნებას.

ეს ორი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ რთული საერთაშორისო პრობლემები შეიძლება გადაიჭრას და უნდა გადაიჭრას არა ახალი ომის მუქარის გზით, არამედ მშვიდობიანი მოწესრიგების გზით. საბჭოთა კავშირი მუდამ უჭერდა და უჭერს მხარს რთული საკითხების ასეთ გადაჭრას, რადგან მიაჩნია, რომ ეს ერთადერთი სწორი მიდგომაა და შეესაბამება მშვიდობის ინტერესებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი ნიმუშით შეიძლება გადაიჭრას გერმანიის საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების და თავისუფალ ქალაქ დასავლეთ ბერლინის სტატუსის დაწესების საკითხები. ეს დიდი წვლილი იქნებოდა მშვიდობის საქმის განმტკიცებაში, ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა მოლაპარაკებისათვის მთავარ საკითხზე, რომელიც აინტერესებს მთელ კაცობრიობას, — მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო განიარაღების საკითხზე.

აი რამდენიმე შენიშვნა საერთაშორისო საკითხებზე, რაც მინდოდა დღეს გამომეთქვა.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

კოსმოსის შესწავლასა და ათვისებაში ჩვენი გამარჯვებების საფუძველია საბჭოთა ხალხის წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში. აი რატომ არის, რომ, მიგვაქვს რა იერიში სამყაროს უკიდეგანო სივრცეებზე, არ გვავიწყდება ჩვენი ყოველდღიური საქმეები ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ისინიც გვახარებენ. სკკპ XXII ყრილობამ დარაზმა საბჭოთა ადამიანები კომუნიზმის გამარჯვების მისაღწევად დიადი ბრძოლისათვის. კომუნიზმის მშენებლობის პროგრამით შთაგონებული საბჭოთა ხალხი წარმატებით იღებს ახალ მიჯნებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. კარგად ვითარდება ჩვენი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა.

ჩვენი კოსმოსის გმირების პატივისცემის ამ საზეიმო დღეს ნება მიბოძეთ მივულოცო ყველა სამრეწველო საწარმოს, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს, რომლებიც წარმატებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს და თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს. ისინი აგრეთვე არიან გმირები, რომლებსაც იერიში მიაქვთ კომუნიზმის მწვერვალებზე.

ჩვენ თქვენთან ერთად, ამხანაგებო, შესანიშნავ, გმირულ დროში ვცხოვრობთ. მაშ მოდით მთელი ძალებით ვამრავლოთ ჩვენი სამშობლოს მატერიალური და სულიერი სიმდიდრე. ჩვენი თავდადებული შრომით მოვაახლოოთ დრო, როცა მთელ დედამიწაზე გაიმარჯვებს კომუნიზმის დიადი იდეალები — მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება ყველა ხალხისა.

საბჭოთა კავშირის ახალმა გამარჯვებამ კოსმოსის ათვისებაში მთელი პროგრესული კაცობრიობის აღტაცება გამოიწვია. საბჭოთა მთავრობის სახელზე, ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სახელოვანი კოსმონავტების სახელზე მრავალ ათასობით მოდის მისასალმებელი წერილი. ნება მიბოძეთ საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მადლობა გადავუხადო ყველა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, მოძმე პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მეცნიერების მოღვაწეებს, ყველას, ვინც მოგვილოცა ხომალდების „აღმოსავლეთ-3“-ისა და „აღმოსავლეთ-4“-ის კოსმოსში გაფრენა და ყველა იმათ, ვისაც მისალმება არ გამოუგზავნია, მაგრამ ჩვენთან ერთად უხარია ეს ამბავი.

გაუმარჯოს გმირ კოსმონავტებს ანდრიან ნიკოლაევსა და პავლე პოპოვიჩს — ჩვენი დიდი ხალხის ერთგულ შვილებს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან საბჭოთა სამშობლოს!

დიდება კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს!

დიდება ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — ლენინის პარტიას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

**(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს სიტყვა არაერთგზის შეაწყვეტინეს მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით).**



[illegible]



მოსკოვი. 1962 წლის 18 აგვისტო. დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე, მიძღვნილი საბჭოთა ხალხის ახალი უმაგალითო გამარჯვებისადმი — კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთ-3" და „აღმოსავლეთ-4"-ის ჯგუფურ ხანგრძლივი ფრენის აღსანიშნავად, რომლებსაც მართავდნენ მფრინავი კოსმონავტები ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევი და პავლე რომანის-ძე პოპოვიჩი.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის VII კონგრესს

ქალაქ ლენინგრადში

[illegible]

1962 წლის 18 აგვისტო.

ნ. ხრუშჩოვი.

# ეს დღე ისტორიას ეკუთვნის

ხალხი ზღვასავით მოაწყდა გზატკეცილს. მანქანები ნელა მიცურავენ ამ ზღვაში, მაგრამ 20-30 კილომეტრი, რა- [illegible]

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგს, მიძღვნილს საბჭოთა ხალხის ახალი, შესანიშნავი გამარჯვებისადმი, კოსმოსში ა. გ. ნიკოლაევისა და პ. რ. პოპოვიჩის ჯგუფური ფრენის წარმატებით განხორციელებისადმი, ხსნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ფ. რ. კოზლოვი.

მიკროფონთან მიდის კოსმონავტი მფრინავი ანდრიან ნიკოლაევი. წარმოსადეგი, ახოვანი, იგი იპყრობს ყველას გულისყურს, ვინც მოედანზე იმყოფება. ღელავს ხალხის ზღვა — ახლა ხომ ყოველი მათგანი გაიგონებს ხმას, რომელიც ძვირფასი და მახლობელი გახდა კოსმოსიდან ამასწინანდელი გადმოცემების დროს.

ანდრიან ნიკოლაევი მიკროფონთან ადგილს უთმობს თავის მეგობარს პავლე პოპოვიჩს. კვლავ გაირინდა მოედანი, რათა მოისმინოს ვარსკვლავეთის ხომალდის „აღმოსავლეთ-4"-ის კაპიტანის ხმა.

პავლე პოპოვიჩის მისალმების უკანასკნელი სიტყვები მქუხარე ოვაციამ, ათასხმოვანმა „ვაშამ" დაფარა.

შემდეგ მიკროფონთან მივიდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი საბჭოთა ადამიანების გამარჯვების აღსანიშნავად. ტრიბუნაზე კი უკვე ბავშვების ჯგუფი ავიდა. დღევანდელი ზეიმი გასხივოსნებულია მათი სიხარულითაც. ბავშვებმა ყვავილები მიართვეს კოსმონავტებს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, გმირთა მშობლებს.

ტრიბუნაზე ხელიხელგადახვეული დგას ოთხი კოსმონავტი — გაგარინი, ტიტოვი, ნიკოლაევი, პოპოვიჩი.

— ჩვენ დავიბადეთ, რომ სინამდვილედ ვაქციოთ ზღაპარი...

ისტორიული მუზეუმის თავზე ახალი კოსმონავტების პორტრეტების გვერდით წარწერილია: „დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, კოსმოსის დამპყრობთ!"

ეს სიტყვები შენ გეძღვნება, საბჭოთა ადამიანო!-ვინც უნდა იყო, სადაც უნდა იმყოფებოდე ამ დღეს, შენ შეიტანე შენი შრომის წილი საბჭოთა მეცნიერების, მთელი ხალხის უმაგალითო გმირობაში.

დიდი ზეიმის სიხარულმა მოიცვა წითელი მოედანი. კოლონების თავზე კოსმონავტთა პორტრეტებთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა პორტრეტებია. დემონსტრანტები მხურვალედ მიესალმებიან კოსმოსის დამპყრობთ, რითაც დიდ მადლობას უხდიან კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომლებიც მიუძღვიან ჩვენი სამშობლოს ხალხებს ახალი წარმატებებისაკენ.

„ილიჩი ზეიმობს ჩვენთან ერთად" — ამ ტრანსპარანტით შემოვიდნენ წითელ მოედანზე სამხრეთ-დასავლეთის მშენებლები. დემონსტრაციის თვითეულ კოლონას მოაქვს დიდი ბელადის პორტრეტი. ეს ხომ აქ, კრემლის კედლებთან, ამ 43 წლის წინათ გაისმა მისი გზისდასალოცი სიტყვები. 1919 წლის პირველი მაისის დემონსტრაციაზე ვლადიმერ ილიას-ძემ აქ მოსულ ბავშვებზე მიუთითა და თქვა: „დღემდე, როგორც ზღაპარზე, ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რასაც ჩვენი ბავშვები იხილავენ, მაგრამ ახლა, ამხანაგებო, თქვენ ნათლად ხედავთ, რომ სოციალისტური საზოგადოების შენობა, რომელსაც ჩვენ ჩავუყარეთ საძირკველი, უტოპია როდია. კიდევ უფრო გულმოდგინედ შეუდგებიან ამ შენობის აგებას ჩვენი შვილები".

აი ისინი მოდიან მავზოლეუმის წინ — იმათი შვილები, ვინც ჰქედა ოქტომბრის პირველ გამარჯვებებს. მოდიან მეფოლადენი და მშენებლნი, მემანქანენი და მქსოველნი, ისინი, ვინც ფრთები შეასხა ჩვენს კოსმოსის მამაც დამპყრობთ. ჩაიარეს შრომის მიწიერი „კოსმოსური" ვახტის გმირებმა, ვახტისა, რომელიც მთელ ჩვენს ქვეყანას მოეცდო ამ სასიხარულო დღეებში.

ზამოსკვორეჩიეს კოლონებში ბევრი ძველი ბოლშევიკია. ამ მხიარული, ამაყი სახის ჭაღარა ადამიანებს დროის თავიანთი აღრიცხვა აქვთ. „აღმოსავლეთის" სტარტი „ავრორამ" მისცა — დაუწერიათ მათ თავიანთ მისალმებაში კოსმონავტებისადმი. — კოსმოსის იერიში 45 წლის წინათ დაიწყო!".

ალისფერი ალმებით ელვარებს წითელი მოედანი, ქარი არხევს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ალმებს. ამ საზეიმო ნაკადს იქით ახლა მოჩანს სხვა ქალაქებისა და სოფლების ქუჩები და მოედნები, მოჩანს ჩუვაშეთის პატარა სოფელი შორშელი, უკრაინის პატარა ქალაქი უზინი, ათობით და ასობით სადღესასწაულოდ მორთული ქალაქი, რომლებიც დღეს ზეიმს უხდიან კოსმოსის გმირებს მოსკოველებთან ერთად.

„ყველაფერს გავაკეთებთ, როგორც საჭიროა, რუსულად, საბჭოურად, მტკიცედ და კარგად" — ეს სიტყვები, რომლებიც პავლე პოპოვიჩმა თქვა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვთან რადიოტელეფონით საუბრის დროს, მოიტანეს ტრანსპარანტით ზეიმზე პროლეტართა რაიონის დემონსტრანტებმა. მოჩცხადად იღიმება კოსმონავტი-4, როცა კოლონების თავზე მრავალგზის მეორდება ტრანსპარანტები „შესრულებულია რუსულად!", „გაკეთებულია საბჭოურად!". განა ამასვე არ მეტყველებენ შრომითი გამარჯვებების პატაკები, რომლებიც მოსკოველებს მოაქვთ.

მოედანზე ჩაიარეს მეცნიერებმა—მაძიებელი აზრის, ზუსტი ვარაუდის, შთაგონებული შემოქმედების ადამიანებმა. ბევრმა მათგანმა მოახმარა თავისი შრომა კოსმოსური ხომალდების, გიგანტური ამჩქარებლების შექმნას. მაგრამ არის ერთი — ყველაზე მძლავრი ამჩქარებელი, რომელმაც შესაძლებელი გახადა განხორციელებულიყო ფანტასტიკური რეისები ვარსკვლავებისაკენ. ეს ამჩქარებელია საბჭოთა ხელისუფლება, კომუნიზმი. სწორედ ამიტომ დღეს ადამიანები ზეიმობენ არა მარტო საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გამარჯვებას, არამედ საბჭოთა წყობილების გამარჯვებას, თავისუფალი შრომის გამარჯვებას.

(საკდესი).

### ზეიმობს წითელი მოედანი

[illegible]

დასასრული. დასაწყისი იხ. 1-ლ გვ.



სურათებზე: მოსკოვი. 1962 წლის 18 აგვისტო. საბჭოთა ხალხის სახელოვანი შვილების გმირი-კოსმონავტების მაიორ ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევის და პოდპოლკოვნიკ პავლე რომანის-ძე პოპოვიჩის საზეიმო შეხვედრა ვნუკოვოს აეროდრომზე. მარცხნივ — ნათესავებთან შეხვედრის დროს; მარჯვნივ — საპატიო საჰაერო ესკორტი.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა. და ვ. ხავოსტიანოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ბრძანებულება

[illegible]

— პროფესორს, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს

6. გამყრელიძეს პეტრე დიანოზის-ძეს — პროფესორს, გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორს

7. გელოვანს დავით მიხეილის-ძეს — პროფესორს, საქართველოს ზოოტექნიკურ სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის კათედრის გამგეს

8. გზირიშვილს ალექსანდრე ზაქარიას-ძეს — პროფესორს, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს

9. გოზალიშვილს გიორგი კონსტანტინეს-ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის პროფესორს

10. გონაშვილს შალვა გიორგის-ძეს — პროფესორს, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის ბიოქიმიის ლაბორატორიის გამგეს

11. გორდაძეს გიორგი ნესტორის-ძეს — პროფესორს, ტროპიკულ დაავადებათა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს

12. გუგუშვილს პაატა ბესარიონის-ძეს — პროფესორს, ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს

13. ერისთავს დიმიტრი იოსების-ძეს — პროფესორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორს

14. ვართაპეტოვს არტაშეს იაკობის-ძეს — პროფესორს, კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს

15. თავაძეს პიმენ გიორგის-ძეს — დოქტორს, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიის გამგეს

16. კვიტაშვილს გიორგი ვლასის-ძეს — პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს

17. თავაძეს ფერდინანდ ნესტორის- [illegible]

24. ნარიკაშვილს სერგი პავლეს-ძეს — პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს

25. ჟორდანიას იოსებ თევდორეს-ძეს — პროფესორს, ქალის პათოლოგიისა და ფიზიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს

26. როსჩუპკინს გიორგი ალექსანდრეს-ძეს — პროფესორს, საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის ზოოტექნიკური სექტორის გამგეს

27. სიმონგულოვს ვართან ალექსანდრეს-ძეს — პროფესორს, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს

28. ტარასაშვილს გიორგი მიხეილის-ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის პროფესორს

29. ყანჩაველს გიორგი იოსების-ძეს — პროფესორს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორს

30. შენგელიას პავლე გიორგის-ძეს — პროფესორს, ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორს

31. შოთაძეს დავით პეტრეს-ძეს — პროფესორს, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს

32. ჩოჩიას სიმონ ივანეს-ძეს — პროფესორს, საქართველოს სუბტროპიკულ მეურნეობის-ინსტიტუტის კათედრის გამგეს

33. ჩხარტიშვილს შალვა ერემიას-ძეს — პროფესორს, საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის პრორექტორს

34. წითლანაძეს გიორგი ვლადიმერის-ძეს — პროფესორს, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს

35. ხავთასს გრიგოლ გაბრიელის-ძეს — პროფესორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს

36. ხოხლოვს ივანე მიხეილის-ძეს — პროფესორს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

### საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწისა:

1. აგაბაბიანს რუბენ იაკობის-ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის პროფესორს

2. ბარამიძეს კონსტანტინე იოსების-ძეს — პროფესორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს

3. ბუაჩიძეს იოსებ მოსეს-ძეს — პროფესორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორს

4. გაბაშვილს ნიკოლოზ ვასილის-ძეს — პროფესორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს

5. თავხელიძეს დავით სერგის-ძეს — პროფესორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამექანიკო-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანს

6. კაკუშაძეს ალექსანდრე მოსეს-ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორს

7. კერესელიძეს შალვა იასონის-ძეს — საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს

8. ლალიევს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს — პროფესორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანს

9. სისოიანს გრიგოლ არტემის-ძეს — პროფესორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი,
1962 წლის 18 აგვისტო.

# დავალება შევასრულეთ, ჩვენ შინ ვართ!

## კოსმონავტების ანდრიან ნიკოლაევისა და პავლე პოპოვიჩის შეხვედრა საბჭოთა პრესის წარმომადგენლებთან

ვოლგის ქალაქის პატარა სახლში გაიმართა კოსმონავტების ანდრიან ნიკოლაევისა და პავლე პოპოვიჩის შეხვედრა ჟურნალისტებთან. შეკრებილთ ორი ახალი ზეციური ძმა წარუდგინა კოსმოსის პირველაღმომჩენმა იური გაგარინმა, რომელმაც მოკლედ გააშუქა ორი კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-3" და „აღმოსავლეთი-4" ერთობლივი ფრენის ძირითადი შედეგები. ჩემს ანგარიშში კოსმონავტთა პასუხს გადმოგცემთ იმ რიგით, რა რიგითაც მიეცათ შეკითხვები. ვცდილობდი დამეცვა კოსმოსის თითოეული გმირის „ხელწერა".

**კითხვა:** გაზეთების, საკდესის, რადიოს რედაქციები ამ დღეებში იღებენ ათასობით წერილსა და დეპეშას მსოფლიოს ყველა კუთხიდან. წერილებსა და დეპეშებში საბჭოთა ადამიანები, სხვა ქვეყნების მოქალაქეები აღტაცებას გამოთქვამენ საბჭოთა მეცნიერებითა და თქვენი გმირობით. რა გადავცეთ ამ წერილების ავტორებს, საბჭოთა ხალხს?

**ნიკოლაევი:** მე და პავლე რომანის-ძე მეტად მოხარული ვართ, რომ ხომალდების „აღმოსავლეთი-3" და აღმოსავლეთი-4" ფრენა მთელ მსოფლიოში შეფასებულია როგორც თვალსაჩინო მიღწევა. მადლობას მოვახსენებთ წერილებისა და დეპეშების ავტორებს გულთბილი მისალმებისათვის. ვუსურვებთ მათ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში.

**პოპოვიჩი:** ვუერთდები იმას, რაც თქვა ანდრიანმა. ყველას დიდ მადლობას ვუძღვნი მილოცვისათვის.

**კითხვა:** გვიამბეთ, როგორი იყო თქვენი პირველი შეგრძნება დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ.

**პოპოვიჩი:** მეტად სასიამოვნოა სამშობლოში დაბრუნება მრავალი დღის არყოფნის შემდეგ. ისეთი გრძნობაა, რომ სიტყვით ვერ გადმოსცემ. ჩვენი გაგება ადვილია. კოსმოსში რამდენიმე დღეღამე გავატარეთ. როცა მიწაზე აღმოვჩნდი, ვიყვირე: „ჩვენ გავიმარჯვეთ!" მინდოდა მეცეკვა სიხარულით: დავალება შევასრულეთ, ჩვენ შინ ვართ.

**ნიკოლაევი:** პავლე მართალია. სიხარულის გრძნობამ აღავსო ჩვენი გული. გვინდოდა მთელ მსოფლიოს მოვხვეოდით.

**კითხვა:** ვინ შეგხვდათ პირველი საბჭოთა მიწაზე?

**ნიკოლაევი:** პირველი შემხვედრი იყო ექიმი. იგი ჩემთან გაჩნდა დაშვების რამდენიმე წუთის შემდეგ. ექიმმა გულითადად მომილოცა მშვიდობით დაბრუნება. აქ მე შევნიშნე, რომ ჩემსკენ ცხენით მოჰქროდა ყაზახი ჭაბუკი, ხოლო მეორე მხრიდან მოდის ტრაქტორი. მე კი ვიდექი, ვიღიმებოდი, გასაოცრად კარგად ვგრძნობდი თავს.

**კითხვა:** ვისგან და რა მისალმებანი მიიღეთ ხომალდებში ყოფნის დროს?

**ნიკოლაევი:** მისალმებანი ბევრი იყო, მაგრამ მე გიამბობთ ერთზე: მეოთხე შემოვლის დროს მოულოდნელად გავიგონე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ხმა. მან მომილოცა წარმატება და მისურვა მშვიდობით დაბრუნება დედამიწაზე. ამან ისე ამაღლვა, რომ თვალზე ცრემლი მომადგა. მთელი ხალხისა და პარტიის [illegible]

შემოვლის დროს ჩემთვის მოულოდნელი სიხარული იყო ნიკიტა სერგის-ძის მისალმება. მე-17 შემოვლის დროს შემომიერთდა ჩემი მეგობარი პავლე რომანის-ძე. კოსმოსში თავი უფრო მხიარულად ვიგრძენი. ახლა ჩვენ ორნი ვართ. განა შეიძლება დამავიწყდეს 64-ე შემოვლა, როცა კოსმოსურ სივრცეში 4 დღის მოგზაურობის შემდეგ, ხომალდმა „აღმოსავლეთი-3" დაიწყო დაშვება. დაიწყო ფრენის დამამთავრებელი ეტაპი — დაშვება. როგორც თვითონ ხედავთ, ამ ეტაპმა კარგად ჩაიარა.

**კითხვა:** კოსმოსური ხომალდების ფრენის აღსანიშნავად ჩვენი ქვეყნის ბევრი საწარმოს კოლექტივები დადგნენ შრომითს ვახტზე. რა გსურთ გადასცეთ ამ კოლექტივებს?

**პოპოვიჩი:** უწინარეს ყოვლისა, დიდი წარმატებანი შრომაში ჩვენი შესანიშნავი სამშობლოს საკეთილდღეოდ. და ვუსურვებთ, რომ ცხოვრებაში ყველაფერი კარგად ჰქონდეთ. ამას ვამბობ ჩემი და ანდრიან გრიგოლის-ძის სახელით.

**კითხვა:** რა გსურთ გადასცეთ თქვენს მახლობლებსა და ნათესავებს?

**ნიკოლაევი:** სულ ამ ცოტა ხნის წინათველაპარაკე ტელეფონით დედას, დას ზინას, ძმებს, ივანესა და პეტრეს. მათ მომილოცეს კოსმოსური ფრენის წარმატებით დამთავრება. ვკითხე, როგორია დედის ჯანმრთელობა. ვსთხოვე არ იღელვოს. იგი მოსკოვში ჩავიდა, და ჩვენ მალე შევხვდებით. მოვეხვევი მთელი დედაშვილური გრძნობით. არავინ არ არის ქვეყნად დედაზე უფრო ძვირფასი, რომელმაც აღმზარდა, დამეხმარა მეპოვა ადგილი ცხოვრებაში.

**პოპოვიჩი:** მეც, რა თქმა უნდა, ვერ მოვითმინე და დავურეკე ცოლსა და ქალიშვილს ნატაშას. მიხარია, რომ კარგად არიან. მოვასწარი ლაპარაკი მამასთან და დედასთან. მესმის ტელეფონში, რომ დედა ტირის, მაგრამ ტირის სიხარულისაგან. ნათესავებს მე, ისევე როგორ ანდრიანი, დედაქალაქში შევხვდები.

**კითხვა:** გვიამბეთ თქვენი შრომისა და ცხოვრების შესახებ კოსმოსში.

**ნიკოლაევი:** როგორც ცნობილია, შემუშავებული იყო ჩვენი შრომითი საქმიანობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სპეციალური პროგრამა. შრომა შეხამებული იყო დასვენებასთან, როგორც დედამიწაზე. პროგრამის შესაბამისად ჩვენ ვდგებოდით, ვაწარმოებდით მეცნიერულ მუშაობას, გვქონდა კავშირი დედამიწასთან, შეგვქონდა ჩანაწერები ხომალდის ჟურნალში. გვქონდა დასვენების დროც. საერთოდ, ვიმეორებ, ვშრომობდით, ვცხოვრობდით როგორც შინ, დედამიწაზე.

**პოპოვიჩი:** ჩვენი ყველაზე მთავარი ამოცანა ის იყო, რომ რაც შეიძლება მეტი საჭირო მეცნიერული მონაცემები შეგვეკრიბა კოსმოსის შესახებ, რათა დავეხმაროთ ჩვენს მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს წარმატებით გადაჭრან კოსმოსური სივრცის შემდგომი შესწავლის ბევრი პრობლემა. პირდაპირ გეტყვით, უსაქმოდ არ ვიჯექით. რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა დასვენების წუთებზე. ერთხელ მე და ანდრიანმა დუეტად შევასრულეთ სიმღერა. ბევრს ვწერდით, ვკითხულობდით.

**კითხვა:** რა გინდათ თქვათ კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთი-3" და „აღმოსავლეთი-4" შესახებ?

**პოპოვიჩი:** ჩვენი შესანიშნავი ხომალდების ყველა სისტემისა და მოწყობილობის მუშაობა დაწვრილებით იყო გაშუქებული საკდესის ცნობებში. რა შემიძლია დავუმატო? კოსმოსური ხომალდები ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევაა. მათი ყველა სისტემა შესანიშნავად მუშაობდა. ჩვენი კოსმოსური მადლობა თანამგზავრი ხომალდების შემქმნელებს, მეცნიერებს, კონსტრუქტორებსა და მუშათა კლასს, რომელმაც განახორციელა მათი შთანაფიქრი.

**ნიკოლაევი:** პავლემ ყველაფერი სწორად თქვა. კოსმოსური ხომალდები ჩვენი საუკუნის სასწაულია. მათ უზრუნველყვეს წარმატებით ფრენა და დაბრუნება დედამიწაზე, შესაძლებლობა მოგვცეს შეგვეკრიბა ახალი, მეტად დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული ცნობები კოსმოსური სივრცის შესახებ, რომელშიც დავფრინავდით.

**კითხვა:** თქვენი შეხედულებით, რა მისცა ხომალდების „აღმოსავლეთი-3" და „აღმოსავლეთი-4" ჯგუფურმა ფრენამ კოსმონავტიკას?

**ნიკოლაევი:** უწინარეს ყოვლისა, კოსმოსის ათვისების მსოფლიო ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ორ კოსმოსურ ხომალდს დედამიწის გარშემო ეფრინათ ერთმანეთისაგან მცირე მანძილზე. მოკლედ, რომ ვთქვათ, ერთობლივმა ჯგუფურმა ფრენამ მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, ჩვენ, კოსმონავტებს, ძალიან ბევრი რამ მოგვცა. ამ მიღწევის პერსპექტიული მნიშვნელობა უდიდესია. ამას, ალბათ, დაწვრილებით გააშუქებენ სპეციალისტები.

**კითხვა:** რას ხედავდით თქვენი ფრენის სიმაღლიდან?

**ნიკოლაევი:** ბევრი რამ ენახეთ საინტერესო, ჩვენს წინაშე გაიელვა ყველა მატერიკმა. მოჩანდა ბევრი ქალაქი, განსაკუთრებით ღამით, როცა ელექტრონათურებით იყო განათებული. ჩვენს თვალთახედვას არ გამოეპარა მთები და მდინარეები, ტყეები, ოკეანეები, ზღვები.

**კითხვა:** რა აცნობეთ ერთმანეთს, როცა მიიღეთ დაშვების ბრძანება?

**პოპოვიჩი:** მე ვუთხარი ანდრიან გრიგოლის-ძეს: „ყველაფერი ჩინებულად იქნება. გზა მშვიდობისა!".

**ნიკოლაევი:** მე კი ვუთხარი ჩემი საყვარელი სიტყვები: „პავლე, სიმშვიდე, სიმშვიდე და სიმშვიდე. ყველაფერი კარგად იქნება".

**კითხვა:** როგორ მოჩანდა მთვარე?

**პოპოვიჩი:** ჩვენ ბედმა გაგვიღიმა. გერმანე სტეფანეს-ძემ ნახა მხოლოდ ნამგალა მთვარე. ჩვენს წინ იგი გამოჩნდა მთელი თავისი სილამაზით. იგი ჩანდა არა ბრტყელი, როგორც დედამიწიდან, არამედ სიცარიელეში დაკიდებულ ბურთივით.

**კითხვა:** სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დოკუმენტებში ხომალდების „აღმოსავლეთი-3" და „აღმოსავლეთი-4" წარმატებით ფრენასთან დაკავშირებით გატარებულია ის აზრი, რომ მეცნიერების ყველა მიღწევა ემსახურებოდეს ადამიანთა კეთილდღეობას. რას იტყვით ამის გამო?

**ნიკოლაევი:** გაგიგეთ. გიპასუხებთ. ჩვენ, ისევე როგორც ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანს, გვინდა, რომ მეცნიერული მიღწევები ხელს უწყობდნენ პროგრესს, რომ დედამიწაზე ყველა კარგად ცხოვრობდეს. კოსმოსი უნდა ემსახურებოდეს მშვიდობის საქმეს, ადამიანთა კეთილდღეობას.

**პოპოვიჩი:** სავსებით ვეთანხმები ანდრიან გრიგოლის-ძეს. მიწისახლო სივრცე უნდა იყოს სუფთა, უნდა ემსახურებოდეს ადამიანებს დედამიწაზე სიცოცხლის აყვავების ინტერესებისათვის.

• • •

კოსმონავტებთან შეხვედრა დამთავრდა. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ მათ საუბრისათვის. კოსმონავტები ახალი მოგზაურობისათვის ემზადებიან. ეს არის მოგზაურობა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში. სადაც მათ მოელით საზეიმო შეხვედრა.

ა. რომანოვი.
(საკდესის ხპეც. კორ.).

## ორბიტაზეა „კოსმოსი-8"

### საკდესის ცნობა

1962 წლის 18 აგვისტოს საბჭოთა კავშირში წარმატებით გაშვებულია ორბიტაზე დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-8". თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განკუთვნილია კოსმოსური სივრცის კვლევის განგრძობისათვის იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა ამა წლის 16 მარტს.

სამეცნიერო აპარატურის გარდა, თანამგზავრში „კოსმოსი-8" დადგმულია მრავალარხიანი რადიოტელემეტრიული სისტემა და რადიოტექნიკური მოწყობილობანი ტრაექტორიის გასაზომად. თანამგზავრში არის გადამცემი „შუქურა", რომელიც მუშაობს 20,00504 და 90,02268 მეგაჰერც სიხშირეებზე. წინასწარი მონაცემებით, თანამგზავრის ბრუნვის პერიოდი უდრის 92,93 წუთს, ეკვატორის სიბრტყისადმი ორბიტის დახრილობის კუთხე 49 გრადუსია. მაქსიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან შეადგენს 604 კილომეტრს, მინიმალური დაშორება — 256 კილომეტრს.

თანამგზავრიდან მიღებული რადიოტელემეტრიული ინფორმაცია მოწმობს ყველა სისტემის ნორმალურ მუშაობას. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი იღებს ტელემეტრიულ ინფორმაციას, აგრეთვე მონაცემებს გადამცემი „შუქურის" რადიოსიგნალების მიღების შესახებ.

## უკანასკნელი საათი

### ჰუმანური საჩუქარი

დელი, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა პრეზიდიუმის სახელით საბჭოთა კავშირის დელის საელჩოს წარმომადგენელმა ინდოეთის წითელი ჯვრის პრეზიდენტს ქალბატონ ამრიტ კაურს გადასცა 10.000 რუპიის ჩეკი, რათა დახმარება გაეწიოს ინდოეთის მოსახლეობას, რომელიც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალდა. ქალბატონმა ამრიტ კაურმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს ამ ჰუმანური საჩუქრისათვის.

### „პოლარისი" კვლავ აფეთქდა

ნიუ-იორკი, როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კანავერალის კონცხიდან იუწყება, გაშვების რამდენიმე წამის შემდეგ აფეთქდა რაკეტა „პოლარისი". ალმოკიდებული ნამსხვრევები ჩამოვარდა კანავერალის კონცხზე. უკანასკნელი შვიდი გაშვებიდან ეს მეოთხე შემთხვევაა, რომ ფრენის დროს აფეთქდა რაკეტა „პოლარისი".

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

უე 04165

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.